

შპს მს ლაიტს

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
აუდიტორული დასკვნა 2023წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე	11

შპს მს ლაიტს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	679789	765445
სულ გრძელვადიანი აქტივები	679789	765445
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	0	93413
სავაჭრო მოთხოვნები	0	9000
სხვა აქტივები	484657	412097
გადახდილი ავანსები	4197	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	203088	204110
სულ მიმდინარე აქტივები	691942	718620
სულ აქტივები	1 371 731	1 484 065
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	13823	13823
გადაფასების რეზერვი	38034	38034
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	1 237 909	973965
სულ კაპიტალი	1 289 766	1 025 822
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გადადებული მოგების გადასახადი	19785	19785
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	19785	19785
მიმდინარე ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	58	0
სავაჭრო ვალდებულებები	12020	438458
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	50102	0
სულ მიმდინარე ვალდებულებები	62180	438458
სულ ვალდებულებები	81965	458243
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	1 371 731	1 484 065

შპს მს ლაიტს

2023 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული

შემოსავლის ანგარიშგება

შემოსავალი მომსახურებიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან

არასაოპერაციო შემოსავალი

საერთო მოგება

გაყიდვების თვითღირებულება

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

იჯარა

დასაქმებულთა ანაზღაურება

ცვეთა და ამორტიზაცია

საოპერაციო მოგება

საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი

არასაოპერაციო ხარჯი

წლის ზარალი მოგების გადასახადამდე და

ზარალი და სხვა სრული ზარალი

	2023	2022
შემოსავალი მომსახურებიდან	1 156 432	780251
შემოსავალი რეალიზაციიდან	13445	23484
არასაოპერაციო შემოსავალი	11	581
საერთო მოგება	1 169 888	804316
გაყიდვების თვითღირებულება	-8705	0
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-110335	-141526
იჯარა	-34658	-34451
დასაქმებულთა ანაზღაურება	-588977	-483153
ცვეთა და ამორტიზაცია	-159370	-112966
საოპერაციო მოგება	267843	32220
საპროცენტო ხარჯი	-1114	-871
საპროცენტო შემოსავალი	0	0
არასაოპერაციო ხარჯი	-2785	-2799
წლის ზარალი მოგების გადასახადამდე და ზარალი და სხვა სრული ზარალი	263944	28550

შპს მს ლაიტს

2023 წლის კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

	2023	2022
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 025 822	997272
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	263944	28550
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 289 766	1 025 822

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელის მიერ და ხელმოწერილია 2024 წლის 19 სექტემბერს.

დირექტორი
ალექსანდრე ბითაძე



მთავარი ბუღალტერი
გულნარა მერკვილაძე

A handwritten signature in blue ink, likely belonging to Gulnara Merkviladze, the Chief Accountant.

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ბიზნეს გარემო

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლების შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისგან.

(ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს მს ლაიტს წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, როგორც ამას განმარტავს „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“. კომპანია დაარსდა 1996 წლის 26 აპრილს.

კომპანიის იურიდიული მისამართი: თბილისი, საბურთალოს ქ.N26

ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, სამგორის ქ.N16

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკონცერტო განათების აპარატურით მომსახურება.

კომპანიის 50% წილის მფლობელი და ამავე დროს დირექტორია ალექსანდრე ბითაძე.

კომპანიის 50% წილის მფლობელია ნინო ხაზარაძე.

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით-ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

3. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან მაშინ აღიარდება, როდესაც დამკვეთს გაეწევა მომსახურება.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯები;
- უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება ნეტო საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური დანახარჯი გამომდინარე იქედან არის თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, სამუშაო ვალუტაში.

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში და რომელებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში იმ თარიღის კურსით, როდესაც მოხდა რეალური ღირებულების განსაზღვრა. არაფულადი აქტივები, რომლის ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია, გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში ოპერაციის მოხდენის თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება შეფასებულია არადისკონტირებულ საფუძველზე და აღიარდება ხარჯად დაკავშირებული სერვისის მიწოდებასთან ერთად. ვალდებულება აღიარებულია მოსალოდნელი ღირებულებით, რაც გადახდილ იქნება მოკლევადიანი ფულადი ბონუსის სახით თუ კომპანიას აქვს მიმდინარე საკონტრაქტო ან კონსტრუქციული ვალდებულება რომ გადაიხადოს ეს თანხა და წარსულში მიწოდებული სერვისის შედეგად დაქირავებულის მხრიდან და ვალდებულებაც შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები:

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შესრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ. მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე; ე.ი ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც მეწილეებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციებიც დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან განთავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

4. აქტივები.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის გათვალისწინებით.

ძირითადი საშუალებების ერთეულები, შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან.

როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, მათი აღრიცხვა ხდება ცალ-ცალკე (მთავარი კომპონენტები), როგორც აღნიშნული აქტივის ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

მიმდინარე აქტივები.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მომსახურების სანაცვლოდ მყიდველებისგან მისაღები თანხები.

სასაქონლო მატერიალური მარაგები.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა(მარაგების)აღრიცხვისას კომპანია გამოიყენებს უწყვეტ აღრიცხვის მეთოდს. მარაგების აღრიცხვა ხდება ქრონოლოგიურად უწყვეტად.

მარაგების აღრიცხვისას კომპანია იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს. მარაგების ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, ტრანსპორტირების დანახარჯებს, განაბჟებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და იმპორტის გადასახადს.

შენიშვნა:

დამოუკიდებელი აუდიტორის რეკომენდაციით განხორციელდა სათანადო ნაწილების, სასაქონლო მატერიალური მარაგების ანგარიშიდან (თანხით 93 413ლარი) სხვა აქტივების ანგარიშზე გადატანა.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა გაანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულება.

თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გატანა გასაყიდად გამოზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

5. საოპერაციო იჯარა.

იჯარა მოიჯარესთან

კომპანია დაკავშირებული მხარისგან საოპერაციო იჯარით ქირაობს ფართს ოფისისთვის და საწყობისთვის. საიჯარო ქირები განსაზღვრულია საბაზრო ფასით. ორივე მხარე (მეიჯარე და მოიჯარე) წარმოადგენს გადასახადის გადამხდელ პირებს და ორივე მხარის ინტერესში შედის იჯარის საბაზრო ფასის შენარჩუნება. პირობითი ვალდებულებები.

6. შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს არ ჰქონია ადგილი.

7. შეფასების საფუძველი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

მხ

აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების

დამოუკიდებელი აუდიტორი „მურადი ხაჩიძე“

ს.კ 105163386

ქ.თბილისი

17.09.2024წ.

აუდიტორული დასკვნა

შპს მს-ლაითის 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს მს-ლაითში ჩავატარე თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ბალანსისაგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ამავე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისაგან.

ფირმის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის დანერგვასა და ფუნქციონირებას, რომელიც შეესაბამება ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, აგრეთვე სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარმართავდი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად დავგეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომელიც

გამოწვეულია თახლითობით ან შეცდომით. შეფასების დროს განხილული იქნა შიდა კონტროლის შესაფერისობა სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის.

ჩემს მიერ შეკრებილი აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩემი მოსაზრების გამოსათქმელად, საჭირო დასაბუთებული ბაზის შესაქმნელად.

აუდიტორის აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს მს-ლაიტის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.



[Handwritten signature]

მ.ხაჩიძე

17.09.2024წ.

თბილისი ნუცუბიძის ფერდობი მე-5 მკრ.მე-7 კორ.ბ.13

ტელ; 555-422-479